



რექტორი: მარინე იოსელიანი

დამტკიცებულია: ბრძანება N 01-18/168

25 სექტემბერი 2018 წელი

„ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

საკონტაქტო ინფორმაცია: მარი ბროსეს 2 admin@gipa.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ქაშაკაშვილი

პროგრამის თანახელმძღვანელი: თამარ დოლიძე

ქ. თბილისი

2018 წელი

1. სახელწოდება:

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/Occupational Safety and Environmental Technology

2. სარეგისტრაციო ნომერი: 07311-პ

3. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე

4. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში/Fifth level vocational qualification in Occupational Safety and Environmental Technology

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის კოდი: 0712 (გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები)

5. საკანონმდებლო ბაზა:

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული სტანდარტი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

7. კურსდამთავრებული კარიერული შესაძლებლობები:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში იდენტიფიცირებულია კოდი - 3257 და მის ქვეშ განსაზღვრული პროფესიები

- კვების ჰიგიენისა და უსაფრთხოების ინსპექტორი;
- ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორი;
- შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორი;
- დაბინძურების ინსპექტორი;
- პროდუქციის უსაფრთხოების ინსპექტორი;
- სანიტარი;

- სანიტარიის ინსპექტორი.

დასაქმების შესაძლებლობები საქსტატის ეკონომიკური საქმიანობის სახეების - ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით:

38. ნარჩენების შეგროვების, დამუშავების და მოცილების საქმიანობები; ნარჩენების უტილიზაცია

38.1 ნარჩენების შეგროვება

38.2 ნარჩენების დამუშავება და მოცილება

39. დაბინძურებისაგან გასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება

80 - უსაფრთხოების დაცვის და საგამომძიებლო საქმიანობები

86 - ჯანდაცვის საქმიანობები

81- შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები და სხვა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს:

სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად;
- ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად;
- შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად;
- დაბინძურების ინსპექტორად;
- ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად;
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად;
- გარემოს დაცვის მრჩეველად;
- შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად;
- ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად;
- ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად;
- დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად;
- უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტად/ მენეჯერად;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად;

- სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად;

სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

8. პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი, შექმნას პირობები ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა.

9. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა;
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები;
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი;
4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები;
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები;
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები;
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება;
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა;
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი;
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება;
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება;
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

10. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვაა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- იმ პირთათვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი; სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე;
- იმ პირთათვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროგრამის მოცულობა არის 150 კრედიტი; სავარაუდო ხანგრძლივობა 27 სასწავლო თვე;

11. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

ზოგადი მოდულები	კრედიტი
ინფორმაციური წიგნიერება 2	3
ინგლისური ენა	5
მეწარმეობა 3	3
ჯამი:	11
პროფესიული სავალდებულო მოდულები	კრედიტი
გაცნობითი პრაქტიკა	2
ფსიქოლოგიის საფუძვლები	4
ანატომიის საფუძვლები	4
გარემოს დაცვის საფუძვლები	4
მენეჯმენტის საფუძვლები	3
დარგობრივი ინგლისური ენა	3
ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები	8
საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე	4
ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი	6

გარემოს დაცვის მენეჯმენტი	4
საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი	4
ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი	4
ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება	5
გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები	7
ნარჩენების მართვა	7
წყლისა და ჰაერის დაბინძურება	7
ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი	3
გარემოსდაცვით საგანგებო სიატუაციებზე რეაგირების დაგეგმვა	4
ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი	4
სამუშაო ალჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი	2
საწარმოო პრაქტიკა	20
ჯამი:	109
სულ	120

12. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა პროფესიულმა მასწავლებელმა განახორციელოს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

13. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიულ კვალიფიკაციას პროფესიულ სტუდენტს ანიჭებს ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული ყველა მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - 13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

15. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

16. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- 1) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- 2) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- 3) შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;
- 4) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP)
- 5) შპს „რომპეტროლი“
- 6) შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ კომფანი“
- 7) შპს ენ-არ-სი ინთერნეიშენალ სევისის წარმომადგენლობა საქართველოში
- 8) სააქციო საზოგადოება „თელასი“
- 9) საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
- 10) შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი
- 11) შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
- 12) რუსთავის აზოტი
- 13) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“
- 14) შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიისათვის“
- 15) შპს “ვისოლ პეტროლიუმი”